სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება # 120

ქ. ბათუმი „05" სექტემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ჯუმბერ ვარდმანიძის სახით და მეორეს მხრივ, ფ.პ. გიორგი გოგიტიძე (შემდგომში „მიმწოდებელი") „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხატვრის მომსახურების შესყიდვა, (CPV კოდი - 92312250).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2050 (ორი ათას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 დაფინანსების წყარო – 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ან მისი ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

4.4 მომსახურების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. #23, ხელვაჩაურის მუნიპილატიტეს მერია.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლებისა და კულტურის სამსახური.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული სააქონლის ხარისხის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი

ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებისგზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12.2ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლიარად და სამივე მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	**ფ.პ გიორგი გოგიტიძე**
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. #23	**ტელ: 577 12 65 44**
ტელ: (+995) (222) 5-93-13, 5-93-27.	**მის:** ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N39
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს. „ლიბერთი ბანკის'' ხელვაჩაურის ფილიალი,	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ს.კ. 248428385	პ. ნ. 61001010938
ბ/კ: LBRTGE22	ბ/კ: LBRTGEGE22
ა/ა # GE88LB0120166231817002	ანგ. #GE27LB0112161493708000
მერი ჯუმბერ ვარდმანიძე	გიორგი გოგიტიძე
----------	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

N 2541-05
03/09/2018

2541-05-3-201809031739

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ჯუმბერ ვარდმანიძეს
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების,
კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის
II რანგის განყოფილების უფროსის მადონა დავითაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ჯუმბერ,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს ,,კოლხობა"-ის და ,,მაჭახლობა"-ის ღონისძიებისათვის სამხატვრო მომსახურებაზე ხელშეკრულების გაფორმება. მხატვარ-დეკორატორი გიორგი გოგიტიძე - თანხა 2050 ლარი.

დანართი: 02 ფურცელი.

მადონა დავითაძე

მ. დავითაძე

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ძეგლთა დაცვის განყოფილება

შემოსავლების
სამსახური

მცირე ბიზნესის სტატუსის

სერტიფიკატი

№ 081 - 09986

სერტიფიკატით დასტურდება, რომ
ფიზიკურ პირს: გიორგი გოგიტიძე
პირადი ნომერი: 61001010938
მხატვარ - დეკორატორი

(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს

მცირე ბიზნესის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი	05 ივლისი 2018 წელი
მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია	05 ივლისი 2018 წელი

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი/მოადგილე

ID [illegible]

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

www.libertybank.ge
info@libertybank.ge
კლიენტთა მომსახურება
ტელ: +995 (32) 55 55 00
ფაქსი: +995 (32) 55 55 04
სს "ლიბერთი ბანკი"
ი.ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო

ანგარიშის დეტალები

ანგარიშის დასახელება(მიმღები):	ინდივიდუალური მეწარმე გიორგი გოგიტიძე
ანგარიშის ნომერი:	GE27LB0112161493708000
ანგარიშის ვალუტა:	ლარი
მიმღები ბანკის დასახელება:	სს ლიბერთი ბანკი
მიმღები ბანკის SWIFT კოდი:	LBRTGE22

443

გთხოვთ, ზუსტად მიუთითოთ ლიბერთი ბანკში თქვენი ანგარიშის რეკვიზიტები მათზე სხვა ბანკიდან თანხის ჩარიცხვის დროს - ეს დაგვეხმარება დროულად და სანდოდ მოვახდინოთ თქვენი ოპერაციების დამუშავება

წინამდებარე დოკუმენტი ამობეჭდილია ლიბერთი ბანკის სისტემიდან 9.07.2018 10:34:41 AM